კარი III
სასამართლოების დაფინანსება

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება მიმართულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეალური მდგომარეობის ანალიზისა და ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით, სასამართლოს მიმდინარე აუცილებელი ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე თანამშრომელთა მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად, სასამართლოს საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სხვა ძირითადი საშუალებებით უზრუნველსაყოფად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებანი შეადგენს 5300,0 ათას ლარს. შრომის ანაზღაურებაში გაიხარჯა 3803.83 ათასი ლარი, რაც მოიცავს: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა და აპარატის მოხელეთა თანამდებობრივ სარგოს. დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გაიცა ორგანიზაციის მუშაკებზე პრემიები და კანონმდებლობით დადგენილი დანამატი.

2011 წლის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების საკასო ხარჯებმა შეადგინა 1234.85 ათასი ლარი, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენს 51.59 ათას ლარს, თანამშრომელთა მივლინების საკასო ხარჯმა შეადგინა 81.85 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებმა – 735.69 ათასი ლარი, წარმომადგენლობითმა ხარჯმა – 53.44 ათასი ლარი, სამედიცინო ხარჯებმა – 3.77 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯებმა შეადგინა 15.32 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯმა შეადგინა 258.29 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯებმა – 34.88 ათასი ლარი.

აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის მუხლში საკასო ხარჯმა შეადგინა 63.0 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლში – 32.16 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლში საკასო ხარჯმა შეადგინა – 138.31 ათასი ლარი.

უზენაესი სასამართლოს საქმიანობისათვის გამოყოფილი ასიგნებები მიმართულ იქნა სასამართლოს საფოსტო (მარკა, კონვერტი, გზავნილები) ხარჯების, კომუნალური მომსახურების (გათბობის მიზნით საწვავის, ელექტროენერგია, წყალი, დასუფთავება, ინტერნეტი) და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად; შეძენილ იქნა სხვადასხვა ფორმები (ბლანკები, სარეგისტრაციო ჟურნალები), ტექნიკის სახარჯი მასალები, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი. სასამართლოს შენობას ჩაუტარდა სამღებრო-სარემონტო სამუშაოები. უზენაესი სასამართლოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯი და ინვენტარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფაქტობრივი დაფინანსება
საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან
FACTUAL FINANCING OF THE SUPREME COURT OF GEORGIA FROM THE STATE BUDGET OF 2011

მიმდინარე წლის ხარჯი
Current Expense

თანხა ლარებში Amount in GEL

ხარჯის კოდი Code of expense	ხარჯების დასახელება Name of expense	დაზუსტებული გეგმა Accurate plan	საკასო ხარჯი Cash expense	შესრულება % of execution
	საერთო ხარჯები Common expenses	5 300 000	5 272 169.15	99.87
21	შრომის ანაზღაურება Salaries	3 804 000	3 803 832.69	99.996
22	საქონელი და მომსახურეობა Goods and Services	1 239 500	1 234 859.21	99.63
27	სოციალური უზრუნველყოფა Social guarantees	65 000	63 000.38	96.92
28	სხვა ხარჯები Other expenses	53 000	32 165.01	60.69
31	არაფინანსური აქტივები Non-financial assets	138 500	138 311.86	99.86

2. საერთო სასამართლოების დაფინანსება

საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა განხორციელდა შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

1. **პრიორიტეტის დასახელება:** იუსტიციის მსმენელთა 10 თვიანი სასწავლო კურსის განხორციელება. მოქმედ მოსამართლეთა სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება. მოსამართლის თანაშემწეთა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა მომზადება/ტრეინინგი.

პრიორიტეტის მიზანი: სასამართლო სისტემის უზრუნველყოფა მოსამართლედ გასამწესებელი მაღალკვალიფიციური კადრებით. მოქმედ მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება. მოსამართლის თანაშემწეთა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სასამართლოს გამართული ფუნქციონირებისათვის ხელის შეწყობა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა: განხორციელდა მსმენელთა 5 ჯგუფის სწავლება. პირველმა, მეორე და მესამე ჯგუფებმა წარმატებით დაასრულა სასწავლო პროგრამა და შედეგად 15 ახალი მოსამართლე დაინიშნა საერთო სასამართლოების სისტემაში. მეოთხე ჯგუფმა სწავლა დაიწყო 2011 წლის მაისში და დაასრულებს 2012 წელს. წლის მიწურულს სწავლა დაიწყო მეხუთე ჯგუფმა, რომელიც ასევე 2012 წელს დაასრულებს სწავლას. მოქმედი მოსამართლეებისათვის შემუშავდა და განხორციელდა 60-ზე მეტი სემინარი/ტრეინინგი. განხილულ იქნა სამართლებრივი საკითხები, ასევე სასამართლოს ეფექტურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები. განმეორებით ჩატარდა სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციით მომუშავე ყველა მოსამართლის ტრეინინგი სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით. მოსამართლის თანაშემწეებისათვის და სასამართლოს სხვა თანამშრომელთათვის ჩატარდა 45-ზე მეტი სემინარი/ტრეინინგი. განხილულ იქნა სამართლებრივი საკითხები, ასევე მოქალაქეთა მომსახურების საკითხები, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები. განხორციელდა მოსამართლის თანაშემწეთა ტრენინგები სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით.

მიღწეული შედეგები: სასამართლო სისტემა უზრუნველყოფილ იქნა 15 წარმატებული კურსდამთავრებული მსმენელით, რომლებიც დაინიშნენ მოსამართლედ. იუსტიციის მსნენელების ერთმა ჯგუფმა წარმატებით დაასრულა თეორიული სწავლება და გადავიდა სტაჟირების ეტაპზე. სკოლაში 2011 წლის ბოლოსთვის სწავლას განაგრძობს 2 ჯგუფი, სულ 15 მსმენელი. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა მოსამართლეთა კვალიფიკაცია და დაიხვეწა სასამართლო პრაქტიკა; ამაღლდა მოსამართლის თანაშემწეთა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა კვალიფიკაცია, ხელი შეეწყო სასამართლოს ეფექტურობის გაზრდას.

2. **პრიორიტეტის დასახელება:** მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება.

პრიორიტეტის მიზანი: სასამართლო სისტემაში ეფექტური სოციალური დაცვის გარანტიების არსებობა. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ამაღლება.
საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა: დატვირთულობის მიხედვით დაუწესდათ ყოველთვიური დანამატები თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს, მოადგილეებს, კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარეებს, მოსამართლეებს, თბილისის საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეს, კოლეგიის თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს, გაერთიანებული სასამართლოს თავმჯდომარეებს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეებს. განხორციელდა მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევა. მარტის თვეში განხორციელდა საერთო სასამართლოების აპარატის თანამშრომლებისათვის თანამდებობრივი სარგოების ზრდა. მაისის თვეში განხორციელდა სენაკის, აბაშისა და მარტვილის რაიონული სასამართლოების გაერთიანება, შედეგად შეიქმნა გაერთიანებული სენაკის რაიონული სასამართლო. IV კვარტალში განხორციელდა გურჯაანის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონული სასამართლოების გაერთიანება, შედეგად შეიქმნა გურჯაანის გაერთიანებული სასამართლო. გაერთიანების პარალელურად განხორციელდა სასამართლოს აპარატის თანამშრომლებისათვის თანამდებობრივი სარგოების ზრდა. შრომის ანაზრაურების მულში არსებული ეკონომიის ფარგლებში განხორციელდა მოსამართლეთათვის დანამატების, ხოლო სასამართლოს აპარატის თანამშრომლებზე პრემიების გაცემა.
მიღწეული შედეგები: მოსამართლეებს შეექმნათ მყარი სოციალური გარანტიები. კიდევ უფრო გაიზრდება სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის ხარისხი.

3. **პრიორიტეტის დასახელება:** საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
პრიორიტეტის მიზანი: მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის მოსამსახურეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება.
საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა: სასამართლო შენობებში მოეწყო ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემები, დამონტაჟდა სიგნალიზაციის მოწყობილობები. სასამართლოს თავმჯდომარეებისათვის შეძენილ იქნა პორტატული კომპიუტერები. მოძველებული და ამორტიზებული კომპიუტერული ტექნიკის განახლების მიზნით შეძენილ იქნა ახალი 238 კომპიუტერი. შეძენილ იქნა სერვერები. თბილისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებისათვის განხორციელდა მაღალი წარმადობის ასლგადამღები აპარატების შეძენა. თბილისის სააპელაციო, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო, გორის, სენაკის, ოზურგეთის, სიღნაღის, თელავის, ვანის, ზესტაფონის, სამტრედიის, საგარეჯოს, ხონის, ხაშურის, წალკისა და ლენტეხის რაიონული და აბაშის, ყვარლის, შუახევის, წყალტუბოს, ლაგოდეხის, ბაღდათისა და ლანჩხუთის მაგისტრატ სასამართლოებს (სულ 24 შენობა) ჩაუტარდათ მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. განხორციელდა ქ. თბილისში საერთო სასამართლოების არქივის შენობის მშენებლობა, გურჯაანის რაიონულ სასამართლოს ჩაუტარდა სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოები. 2011 წელს დაიწყო 2012 წლის I ნახევარში დასრულდება მესტიის რაიონული

სასამართლოს შენობების მშენებლობა და ქ. ქუთაისში საერთო სასამართლოების არქივის შენობის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოები. შეძენილ იქნა 3 ცალი მსუბიქი და 5 ცალი მაღალი გამავლობის ავტომანქანა. საერთო სასამართლოები უზრუნველყოფილ იქნა ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით.
მიღწეული შედეგები: კიდევ უფრო გაუმჯობესდა სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

4. **პრიორიტეტის დასახელება:** სასამართლო სისტემაში საქმისწარმოების ხარისხის ამაღლება და სრულყოფა.
პრიორიტეტის მიზანი: საერთო სასამართლოებში საქმეთა წარმოებასთან დაკავშირებული პროცესის სრული ავტომატიზაცია.
საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა: ერთიან კომპიუტერულ სისტემაში ჩაერთო 64 სასამართლო. განხორციელდა სასამართლოებსა და დატა ცენტრს შორის დამაკავშირებელი კომპიუტერული ქსელის სიჩქარის გაზრდა. გაგრძელდა მუშაობა საქმისწარმოების პროგრამის დანერგვაზე საერთო სასამართლოებში. 2011 წლის ბილოს პროგრამა ამოქმედდა 13 სასამართლოში (თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის საქალაქო, თელავის, ბოლნისის, სენაკის, ოზურგეთის, ხელვაჩაურის, ზუგდიდის, ზესტაფონის, ახალციხისა და ხაშურის რაიონული სასამართლოები)
მიღწეული შედეგები: გაგრძელდა მუშაობა საქმისწარმოების გაუმჯობესებისათბის, უფრო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

5. **პრიორიტეტის დასახელება:** სასამართლო ხელისუფლების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების გაუმჯობესება.
პრიორიტეტის მიზანი: აუცილებელია საზოგადოება უფრო მეტად იყოს ჩართული სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებში.
საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა: განხორციელდა სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ საგაზეთო სტატიების მომზადება და საზოგადოებისათვის მიწოდება. განხორციელდა სარეკლამო რგოლების მომზადება და სატელევიზიო ეთერში განთავსება.

მიღწეული შედეგები: გაგრძელდა მუშაობა საზოგადოებაში სასამართლო სისტემის ავტორიტეტისა და ნდობის ხარისხი კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

საერთო სასამართლოების დაფინანსება საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან

FINANCING OF COMMON COURT FROM THE STATE BUDGET OF GEORGIA OF 2011

თანხა ათას ლარებში Amount in thousand GEL

ხარჯების დასახელება	დაზუსტებული გეგმა Aaccurate plan	საკასო ხარჯი Cash expenses	შესრულება % Execution	Name of expenses
ხარჯები	29 136.2	28 642.1	98.3	Common expenses
შრომის ანაზღაურება	20 225.7	20 222.6	100.0	Salaries
საქონელი და მომსახურება	8 034.9	7 582.2	94.4	Goods and service
სოციალური უზრუნველყოფა	524.0	512.2	97.7	Social guarantees
სხვა ხარჯები	351.6	325.0	92.4	Other expenses
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 008.0	2 980.9	99.1	Increase of non-financial assets